www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში

2018

II კვარტალი

14.08.2018

www.geostat.ge

14.08.2018

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

(II კვარტალი, 2018 წელი)

2018 წლის II კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 2 მილიონი შემოსვლა, რაც 12.7 პროცენტით მეტია 2017 წლის II კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 45.8 %, განხორციელდა 31-50 წლის ასაკის მქონე მოგზაურების მიერ.

საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელებული ვიზიტების[3] რაოდენობამ 1.7 მილიონი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 13.8 პროცენტით არის გაზრდილი.

[1]ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2]**ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2017-2018 წლების II კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.

საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



2018 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1.3 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 15.7 პროცენტით არის გაზრდილი.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 1.1 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 20.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში მოცემულია საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების 66 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4] იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 28.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 5.7 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	II კვარტალი, 2017 წელი	II კვარტალი, 2018 წელი
მხოლოდ ტურისტი	728.6	888.4
მხოლოდ ექსკურსანტი	369.8	380.4
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	64.6	76.7
სულ	1,163.0	1,345.5

2018 წლის II კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 276.6 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 20.6 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 31.6 პროცენტიან ზრდას 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ვიზიტების ყველაზე დიდი წილი (19 პროცენტი) აგრეთვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.
[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 45.8 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 38.5 პროცენტს შეადგენდა.

2018 წლის II კვარტალში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



2018 წლის II კვარტალში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
ქალი	518.4	38.5
კაცი	827.1	61.5
სულ	1,345.5	100.0

2018 წლის II კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი, 44 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	738.4	44.0
მეგობრების/ნათესავების მონახულება	345.2	20.6
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	286.1	17.0
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	122.5	7.3
„შოპინგი“, საქონლის შეძენა პირადი მოხმარებისთვის	105.4	6.3
მკურნალობა, გაჯანსაღება	48.6	2.9
სხვა	32.2	1.9
სულ	1,678.4	100.0

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შესაბამისად, 846.2 ათასი და 446.0 ათასი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, %



2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 3.6 ღამე შეადგინა, რაც 2017 წლის II კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (3.9 ღამე) 8 პროცენტით ნაკლებია.

განხორციელებული ვიზიტების 70 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2018 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით, %



2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 1.9 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 31.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ვიზიტზე საშუალო ხარჯი წინა წელთან შედარებით 15.5 პროცენტით გაიზარდა და 1,144.1 ლარი შეადგინა.

2018 წლის II კვარტალში ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
განთავსება	424.0	22.1	252.6
გართობა	353.9	18.4	210.9
საკვები და სასმელი	517.9	27.0	308.6
საყიდლები	297.8	15.5	177.4
ადგილობრივი ტრანსპორტი	129.7	6.8	77.3
ხანგრძლივი მოხმარების საგნები	149.6	7.8	89.1
ძვირფასი ნივთები	6.0	0.3	3.6
სხვა	41.3	2.2	24.6
სულ ხარჯი	1,920.3	100.0	1,144.1

საკონტაქტო პირი: ირმა გვილავა ტელ.: (+995 32) 236 72 10 (608)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13 E-mail: igvilava@geostat.ge